მოსკოვი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

11 ივლისს ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა მერვედფინალის ბოლო მატჩი თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები "ტორპედო" (მოსკოვი) – "დინამო" (თბილისი).

თბილისელ ფეხბურთელთა გამოსვლებს ახლა მოსკოვში დიდი ყურადღებით ეკიდებიან. განსაკუთრებით საინტერესო იყო მათი გუშინდელი შეხვედრა თასზე, რომელიც მერვედფინალის ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა.

მატჩი ძალზე დაძაბული გამოდგა, უკვე მე-10 წუთზე ბარქაია საუკეთესო მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ტორპედოელთა მეკარემ გლუხოტკომ შეძლო ძნელი ბურთის აღება. მცირე ხანს შემდეგ ანალოგიური შესაძლებლობა ჰქონდა ზეინკლიშვილს, შემდეგ მელაშვილს. რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოსკოველებმაც, მაგრამ ტაიმს შედეგი არ მოუცია.

შესვენების შემდეგ უპირატესობამ "ტორპედოს" მხარეს გადაინაცვლა. დინამოელთა თავდასხმა ხშირად კარგავდა ბურთს, არ იყო სიზუსტე და შეთანხმება კომბინაციების გათამაშებისას. რაც შეეხება ტორპედოელებს, მათ საუკეთესოდ ჩაატარეს მეორე ტაიმი და რომ "დინამოს" მეკარის ს. კოტრიკაძის მეტად ძლიერი თამაში არა, შესაძლოა ანგარიში მეტიც ყოფილიყო.

პირველი ბურთი თბილისელთა კარში გაიტანა "ტორპედოს" მარჯვენა გარემარბმა მეტრეველმა. 33-ე წუთზე დენისოვმა მოუსწრო კოტრიკაძის მიერ უკუგდებულ ბურთს და ბადეში გაგზავნა იგი.

ტორპედოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 და გავიდნენ მეოთხედფინალში.

"ლელო", 12 ივლისი, 1962 წ.